ლუქსიუმი

ფულის ევოლუცია

კორუფცია და ფინანსური სისტემა ხალხს მომავალს ართმევს

1995 წლიდან დღემდე რაც კი ფინანსური დოვლათი შეიქმნა, მისი 38% წილად ხვდა მსოფლიოს უმდიდრეს 1%-ს, დედამიწის მოსახლეობის ნახევარს **კი მხოლოდ 2% ერგო.** ეს არის გლობალური წაგლეჯვა, ღრმა სისტემური დისბალანსი, რომელიც პირდაპირ აისახება ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებაზე.

62%

მოსახლეობის

არ ცხოვრობს, უბრალოდ არსებობს ხელფასიდან ხელფასამდე.

4.8

მილიარდი ადამიანის ფული

ყოველდღიურად უფასურდება (ინფლაცია)

1.3

მილიარდი ადამიანი

იმყოფება უკიდურეს გაჭირვებაში

(წყაროები: IMF, World Bank, Moneyland.ch, World Inequality Database – wir2022.wid.world*)*



ფინანსების უკმარისობა/გაჭირვება იწვევს:



ფიზიკურ და მენტალურ ჯანმრთელობაზე უარყოფით გავლენას, ოჯახების ნგრევას და მისი შექმნის შიშს



მუდმივ შფოთვას, წნეხსა და უსუსურობის განცდას, ადამიანური ურთიერთობების გაფუჭებას, ღალატსა და ჩაკეტვას



კრიმინალის ზრდას და ახალგაზრდების დევიაციურ გზებზე გადასვლას, ბავშვისთვის ელემენტარული პირობების ვერ შექმნას



შიშს ექიმთან წასვლის ან წამლის ყიდვის წინ, მდიდრების ფონზე თავმოყვარეობის დაკარგვას, სირცხვილის და თვითდამარცხების განცდას



საკუთარი შესაძლებლობების და ტალანტის უარყოფას, რადგან საშუალება და პერსპექტივა არ ჩანს

ანგრევს საზოგადოებას, აჩენს აგრესიას, პოლარიზაციას, შუღლს...

⚠️ ყველაფერი ისეა მოწყობილი, რომ ხალხს დოვლათის შექმნის საშუალება არ ეძლევა

⚠️ ჩვენი საუკეთესო წლები ეწირება სისტემას, შემდგომ კი პენსია..

- მილიონობით ადამიანი ყოველ წელს დილიდან საღამომდე მეტი შრომით ცდილობს წინსვლას, მაგრამ მათი ხელფასით სულ უფრო ნაკლების შეძენაა შესაძლებელი, ყოველი მოახლოებული გადასახადების გადახდის დღე = სტრესს.
- საბანკო სესხები და მაღალი პროცენტები წლების განმავლობაში ამყოფებს მოსახლეობას თანამედროვე მონობის პირობებში. ადამიანები ტრიალებენ ერთ წრეზე, სადაც მომავლის შექმნა თითქმის შეუძლებელია. ამავე დროს, ბანკებს უორმაგდებათ წმინდა მოგება, ხოლო ხალხი კიდევ უფრო ღრმად ეფლობა ვალებში.
- ბევრისთვის სიმდიდრის შექმნა პრაქტიკულად შეუძლებელია, ისინი შოულობენ, ხარჯავენ და ყოველ წელს უფრო უკან იხევენ.

⚠️ კრიპტოვალუტის სფერო ქაოტურია და ფასები მანიპულირებული

- კრიპტო ხშირად არის მანიპულაციების, მაღალი ვოლატურობისა და სპეკულაციური "ბაბლების" სამიზნე.
- კრიპტო არაფრით არ არის უზრუნველყოფილი, ასევე მას არ გაანჩია ფასის ლოგიკური წარმოქმნის მექანიზმი (მიწოდება-მოთხოვნის იდეა მოძველებულია, რადგან მისი მართვა შეუძლიათ დიდ მოთამაშეებს - ე.წ. "ვეშაპებს"- მულტი მილიონერებს და მილიარდერებს).
- მიწოდება-მოთხოვნის სისტემა ხშირად დამახინჯებულია "ჰაიპის", ათასობით ბოტის, კონტროლირებადი ან ყალბი ინფორმაციის კომბინაციით და შიდა დიდი მოთამაშეების გავლენით.

⚠️ არ არსებობს უსაფრთხო სივრცე სიმდიდრის შესაქმნელად და შესანარჩუნებლად

- არც ფიატ ფული (ქაღალდის) და არც კრიპტო არ სთავაზობს ხალხს სტაბილურობას, გამჭვირვალობას და ფინანსურ დაცულობას.
- მილიარდობით ადამიანს არ აქვს წვდომა სანდო ღირებულების შესანახ საშუალებაზე, რომელიც არ უფასურდება. (ოქროს ლოდების შეძენის საშუალება უმრავლესობას არ აქვს).
- უმეტესობა ფულის ერთეულს არ გააჩნია რეალური აქტივებით გამყარებული დაცვა.

მომავლის ხედვა

1 ნამდვილი გამოსავალი იწყება სამართლიანი ფულადი სისტემით

ლოგიკური გამოსავალი ინფლაციის/კორუფციის წინააღმდეგ იწყება სტაბილური, სამართლიანი და გრძელვადიანად გამძლე ფულადი სისტემის შექმნით, რომელიც იცავს მოსახლეობის მსყიდველუნარიანობას და ზრდის მათ კაპიტალს თაობიდან თაობამდე.

2 ღირსეული სარგებელი უნდა იყოს ყველას ხელში და არა მხოლოდ პრივილეგირებულების

როცა გამჭვირვალე, აუღებელი ფინანსური ინფრასტრუქტურა ერთიანდება ინოვაციურ ტექნოლოგიასთან, იქმნება სისტემა, სადაც სარგებელს ყველა იღებს.

3 კრიპტოვალუტის ღირებულებას აღარ უნდა მართავდეს კორუფციული სისტემა, შიში, სპეკულაცია და გარიგებები

ჩვენ ვიწყებთ ახალი ტიპის ეკონომიკას, სადაც ფასი აღარ არის ბირჟის თუ სისტემის მანიპულაციის შედეგი. აქ ფასი იქმნება ლოგიკით და მათემატიკური ალგორითმის ავტონომიური წესით.

4 ძალა უბრუნდება ხალხს, რათა ერთეულებმა აღარ გვმართონ

სისტემა, რომელიც ემსახურება მხოლოდ ელიტას, უნდა დასრულდეს. ლუქსიუმი გთავაზობს ეკოსისტემას, სადაც ფული შენ გემორჩილება, შენთვის მუშაობს და არა პირიქით.

5 ფინანსური სიმყარე არ უნდა იყოს ოცნება, ის უნდა გახდეს უფლება

კაპიტალის შენარჩუნება და ზრდა არ უნდა იყოს მხოლოდ მდიდართა პრივილეგია. ფინანსური სტაბილურობა უნდა იყოს ყველასთვის ხელმისაწვდომი, სამართლიანი და გრძელვადიანი.

მომავლის ხედვის საფუძვლები

ფინანსური წარმატება არა მხოლოდ რჩეულთათვის, არამედ ყველასთვის

ჩვენ გვწამს, რომ 21-ე საუკუნეში ფინანსური სტაბილურობა ყველას ეკუთვნის და არა მხოლოდ პრივილეგირებულებს. ლუქსიუმი გრძელვადიან დოვლათს ხდის ხელმისაწვდომს ყველასთვის, გეოგრაფიული თუ სოციალური განსხვავებულობის მიუხედავად

ფასი, რომელსაც მართავს ლოგიკა და არა ემოცია

ლუქსიუმის ფულის ერთეული ეფუძვნება უნიკალურ ფიბონაჩის ალგორითმს, რომელიც დამოუკიდებლად განსაზღვრავს ფასს ყოველგვარი ადამიანური ჩარევის გარეშე. ეს სისტემა არ ემორჩილება სპეკულაციას და არ რეაგირებს ემოციებზე. ის არის თანმიმდევრული, გამჭვირვალე და წინასწარ გათვლადი.

ლუქსიუმი დამატებით დაკავშირებულია რეალურ, შემოსავლიან აქტივებთან, რაც ამყარებს მისი ღირებულების სტაბილურობას და საინვესტიციო მიმზიდველობას.

ჩვენ ვაერთიანებთ ბლოკჩეინის ფინანსურ უსაფრთხოებას და მის გამჭვირვალე ფუნქციონალს ჩვენს უნიკალურ, ტყვია გაუმტარ ეკოსისტემაში, რომელიც მორგებულია ადამიანზე და არა სისტემაზე. აქ ფული არ გმართავს შენ, არამედ შენ ქმნი მის ღირებულებას

სმარტფონი დღეს ყველას აქვს

ჩვენი მობილური ვალიდატორული მოდელი ყველას აძლევს შესაძლებლობას, გახდნენ ლუქსიუმის ბლოკჩეინის ქსელის აქტიური მონაწილეები. ფინანსურ სისტემაში ჩართვა პირველად ხდება შესაძლებელი მათ შორის ადამიანებისთვის, რომლებსაც არ აქვთ საბანკო ანგარიში, თუმცა აქვთ სმარტფონი.

ლუქსიუმი ანაცვლებს ძველ, რთულ და ელიტაზე გათვლილ მაინინგ სისტემას მარტივი, დაბალენერგიული და ხელმისაწვდომი მექანიზმით. ვალიდაცია ხდება პირდაპირ მობილური აპლიკაციიდან, სადაც თითოეული ჩართული მომხმარებელი აძლიერებს სისტემის უსაფრთხოებას და ამავდროულად იღებს ეკონომიკურ სარგებელს. ეს არის მომავლის ფულთან წვდომა - თანაბრად, სამართლიანად და ყველასთვის

ბლექ როქი (BlackRock) ხალხისთვის

ლუქსიუმი შენდება 100%-იან გამჭვირვალობაზე და ფინანსური რესურსების სამართლიან განაწილებაზე. ეს არის სისტემა, რომელიც ქმნის ძლიერ ფინანსურ მომავალს ყველასთვის



ლუქსიუმის გამოსავალი

ახალი თაობის ეკოსისტემა, რომელიც შექმნილია რეალური ფინანსური სიძლიერისა და გრძელვადიანი დოვლათის გენერირებისთვის

1 ლუქსიუმის სუვერენული ბლოკჩეინი (LuxOSI)

იგი შეიქმნა 5,000-ზე მეტი კრიპტოპროექტის, მათ შორის Bitcoin-ის ყველა ძირეული პრობლემის ანალიზის საფუძველზე. შედეგი? სრულიად ახალი არქიტექტურა, რომელიც წარსულში ტოვებს მოძველებულ, მანიპულირებად ტექნოლოგიურად მოუქნელ სისტემებს. ის არ არის დამოკიდებული გარე საიდჩეინებზე ან მოძველებულ კონსენსუსის მოდელებზე და არც ძვირადღირებულ მაინერების ფერმებზე.

2 მსოფლიოს პირველი ანტიინფლაციური ვალუტა (Luxium)

სრულიად ალგორითმული ფასის მოდელი ფიბონაჩის ლოგიკაზე დაყრდნობით, ყოველგვარი ადამიანური ჩარევისა და ცენტრალიზებული კონტროლის გარეშე. მსოფლიოში პირველი, სრულად ავტომატიზებული ფასის წარმოქმნის სისტემა, რომელიც არ ემყარება მოძველებულ მიწოდება-მოთხოვნის მანიპულაციებს.

3 უზრუნველყოფილი მზარდი უძრავი ქონების და რეალური აქტივების გლობალური პორტფელით (LuxiumRWA)

ლუქსიუმი ემყარება რეალურ, შემოსავლიან აქტივებს: პრემიალურ უძრავ ქონებას მსოფლიოს ყველაზე მოთხოვნად ლოკაციებზე და სტრატეგიულად შერჩეულ მომგებიან ბიზნესებს. გაყიდული LUXX ტოკენების 34% მიემართება ამ აქტივებში, რაც ქმნის გრძელვადიან მატერიალურ ღირებულებას, იცავს ფასის სტაგნაციისგან და აყალიბებს ახალ სტანდარტს - ციფრული აქტივი, რომელიც უზრუნველყოფილია რეალური ეკონომიკით.

4 დაცული და დახურული ეკონომიკა (LuxiumVault)

ლუქსიუმის ყიდვა-გაყიდვა შესაძლებელი იქნება მხოლოდ ჩვენი ოფიციალური ვებსაიტით, მობილური აპით და API-ის მეშვეობით, რაც საშუალებას აძლევს ნებისმიერ კომერციულ ობიექტს ან ონლაინ მაღაზიას ინტეგრირებულად მიიღოს გადახდები ლუქსიუმებში. ბირჟებზე ლუქსიუმის გატანა მოხდება მხოლოდ ჩვენი API-ს დახმარებით, რადგან ფასი განისაზღვრება მხოლოდ პროგრამული კოდით, გამჭვირვალე ლოგიკით, დაცული სპეკულაციისა და მანიპულაციისგან. **LuxiumVault**-ის პლატფორმით ლუქსიუმის გამოყენება მოხდება რეალურ პროდუქტებსა და სერვისებში იქ, სადაც ციფრული ეკონომიკა ხდება ყოველდღიურობა.

ლუქსიუმის ტექნოლოგია (ნაწილი I)

ლუქსიუმის ბლოკჩეინი - მომავლის ფინანსების საყრდენი ეკოსისტემა

LuxOSI (Luxium Blockchain) - საკუთარი ბლოკჩეინი

რომელიც ნულიდან არის დაპროექტებული, რათა დაძლიოს სტრუქტურული სისუსტეები, რომლებიც ახასიათებს ძველ ბლოკჩეინებს, როგორიცაა Bitcoin, Ethereum და სხვა. ის წარმოადგენს ბლოკჩეინის ლოგიკის ახალ კატეგორიას, რომელიც შექმნილია სამართლიანობის, სტაბილურობის და მათემატიკური ექვილიბრიუმის კონცეფციით.

LuxPresence Proof of Random Presence (PoRP) პროტოკოლი

კრიპტოგრაფიულად დაცული რანდომულად (შემთხვევითობის პრინციპით) შერჩეული სმარტფონების მეშვეობით განხორციელებული დადასტურების მექანიზმი

LuxVRF - კრიპტოგრაფიულად დაცული არქიტექტურა

რანდომული მიკრო-ვალიდაცია ხორციელდება მომხმარებლის თანხმობით ჩართული მობილური ნოდების მეშვეობით და ეფუძნება დამოწმებადი რანდომული ფუნქციების (LuxVRF) გამოყენებას, რაც უზრუნველყოფს ნოდების შერჩევისა და ვალიდაციის სანდოობას. ეს ქმნის მაღალი წარმადობის და დაბალი დაყოვნების მქონე კონსენსუსის მექანიზმს ცენტრალიზებულ ინფრასტრუქტურასა და დიდძალ ენერგო მაინინგზე დამოკიდებულების გარეშე. სისტემა მიმართულია ეფექტიანობისკენ, დეცენტრალიზაციისკენ და ხელმისაწვდომობისკენ, LuxVRF წარმოადგენს ნდობის ახალ თაობის სტანდარტს, რომელიც ეფუძნება "ბრმა" კრიპტოგრაფიულ სიზუსტეზე.

ZeroFee - ნულოვანი გადარიცხვის საკომისიო



ლუქსიუმის ტექნოლოგია (ნაწილი II)

LuxGuardian - პროტოკოლი

LuxGuardian წარმოადგენს ლუქსიუმის უსაფრთხოების პროტოკოლს, რომელიც იცავს ეკოსისტემას ყალბი იდენტობების (Sybil) შემოჭრისგან, ბოტებისგან და ქსელის მანიპულაციისგან. სისტემა იყენებს ხელოვნურ ინტელექტს (LuxAI-ს) მომხმარებელთა ქცევის ანალიზისთვის, რაც საშუალებას იძლევა გამოავლინოს არასანდო ან არა ავტორიზებული აქტივობა და უზრუნველყოს ქსელის სისუფთავე და სამხედრო ხარისხის (Military Grade Security) დაცვა.

LuxCommune - სმარტფონზე მორგებული

მარტივი სისტემა, რომლის ქსელი იზრდება და ძლიერდება ადამიანების (მომხმარებლების) რაოდენობის ზრდასთან ერთად და რომლის გამოყენებაც მისი სიმარტივის გამო ყველა შეძლებს

LuxConsensus - ლუქსიუმი აღწევს სანდოობის დეცენტრალიზებულ კონსენსუსს გარე მესამე პირებისა და ცენტრალიზებულ ვალიდატორებზე დაყრდნობის გარეშე

მისი ფუნქციონალი ეფუძნება კრიპტოგრაფიული შემთხვევითობით ორგანიზებულ ქსელს, რაც უზრუნველყოფს სამართლიანობას, უსაფრთხოებას და დეცენტრალიზაციას. ეს ნიშნავს: არავითარ მაინინგ ფერმებს. არავითარ მილიარდიან "სტეიქინგ" იმპერიებს. არავითარ ფარულ სერვერებს. მხოლოდ დაცული, კრიპტოგრაფიულად სანდო დადასტურება, რომელიც ხორციელდება რეალური მომხმარებლების მოწყობილობების მეშვეობით, მათი აქტიური ჩარევის გარეშე.

ThriveFlow protocol (with LuxAI) - ანტიმანიპულაციური დაცვა

ThriveFlow protocol არის ლუქსიუმის ინტეგრირებული პროტოკოლი, რომელიც რეალურ დროში იცავს ეკოსისტემას ბოტებისგან, ტრანზაქციული მანიპულაციისგან, თაღლითობისგან და ქსელის არასამართლიანი ჩარევის მცდელობისგან. LuxAI-ს დახმარებით ხდება ბოტ მონიტორინგი და ქცევის ანალიზი, მომხმარებელთა და დეველოპერული აქტივობის ინტელექტუალური ანალიზი და სხვა.

ThriveFlow Protocol მოქმედებს როგორც ციფრული იმუნური სისტემა, რომელიც იცავს ლუქსიუმის ეკონომიკას როგორც შიგნიდან, ასევე გარედან.



ლუქსიუმის პოტენციალი

4.8 მილიარდი ადამიანი ინფლაციის ზემოქმედების ქვეშ იმყოფება
ზრდასრულ ასაკში მყოფი მოსახლეობის ნახევარზე მეტი ცხოვრობს გარემოში, სადაც ინფლაცია მუდმივად ამცირებს მათ მყიდველუნარიანობას და აქცევს ფინანსურ სტაბილურობას მიუწვდომელ ოცნებად

კრიპტოვალუტის სწრაფი გავრცელების ტემპი განვითარებად ბაზრებზე
აზია, აფრიკა და სამხრეთ ამერიკა ლიდერობენ კრიპტოს ყოველდღიურ მოხმარებაში, რადგან მოსახლეობა ეძებს ალტერნატივებს არასტაბილური ადგილობრივი ვალუტებისგან

უძრავი ქონება - დადასტურებული ღირებულების საყრდენი
უძრავი ქონება არის ერთ-ერთი ყველაზე სანდო ფინანსური აქტივი, რომელიც გრძელვადიანად ინარჩუნებს ღირებულებას ეკონომიკური ცვალებადობის მიუხედავად. სწორედ ამიტომ, იგი თაობების სიმდიდრის შესანარჩუნებლად ყველაზე გამოცდილი გზაა. ამ პრინციპზე დგას ლუქსიუმის გრძელვადიანი სტაბილურობაც. ლუქსიუმის შემოსავლის 34% ჩაინვესტირდება პრემიალურ საერთაშორისო უძრავ ქონებაში და სხვა შემოსავლიან აქტივებში, რომელთა მენეჯმენტსაც თავად ლუქსიუმი განახორციელებს. ეს მოდელი ქმნის ძლიერ ფინანსურ საყრდენს, ამყარებს პლატფორმის მდგრადობას და ლუქსიუმს აქცევს უალტერნატივო ეკოსისტემად მომავლისთვის.

ბლოკჩეინის დაკავშირება რეალურ გლობალურ აქტივებთან (RWA) ქმნის ახალ, მასშტაბურ შესაძლებლობებს
დეცენტრალიზებული ფინანსებისა და ფიზიკური აქტივების (უძრავი ქონება, ბიზნესი და სხვა) ღირებულების შერწყმა ხსნის წვდომას მრავალტრილიონიან ბაზარზე, რომელსაც გლობალური მნიშვნელობა აქვს. 2022 წლის კვლევის თანახმად, რომელიც BCG და ADDX-ის კოლაბორაციით ჩატარდა, 2030 წლისთვის აღნიშნული ბაზარი 16 ტრილიონამდე შეიძლება გაიზარდოს

მსოფლიოს მოსახლეობა ეძებს ახალ ფულად აქტივს, რომელიც ნამდვილად დაიმსახურებს ნდობას
აქტივს, რომელიც არ კარგავს ღირებულებას, არ ეფუძნება სპეკულაციას და არ არის დამოკიდებული თამაშის წესებზე, რომლებიც მხოლოდ ძლიერი მოთამაშეებისთვისაა დაწერილი. 21-ე საუკუნეში ადამიანებს უნდა ჰქონდეთ წვდომა ისეთ ფინანსურ სისტემაზე, რომელიც აძლევს შესაძლებლობას ინვესტირება განახორციელონ გონივრული ლოგიკით და არა ბედზე ან მანიპულაციაზე დაყრდნობით. სისტემაზე, რომელიც ინარჩუნებს ღირებულებას და ეფუძნება რეალურ ეკონომიკურ ბაზას, არა ილუზიებს, არამედ რეალურ აქტივებს, ნდობასა და გამჭვირვალობას

ლუქსიუმის ბიზნეს მოდელი

1 ფიქსირებული ემისია - **165** მილიონი ლუქსიუმის მონეტა გაეშვება ავტონომიური, მოთხოვნაზე ადაპტირებული ფიბონაჩის დამოუკიდებელი ალგორითმით, რომლის ტექნოლოგიური რესურსი გათვლილია **$100+** ტრილიონზე მეტი ღირებულების კაპიტალიზაციაზე

2 ლუქსიუმის ტოკენების შეძენა შესაძლებელია მხოლოდ ლუქსიუმის ოფიციალურ, დეცენტრალიზებულ პლატფორმებზე: ვებსაიტზე, მობილურ აპლიკაციებში ან სპეციალურად ინტეგრირებული სისტემებში, რომლებიც იყენებენ ჩვენს **API**-ს. ეს მოიცავს პარტნიორ ფინანსურ ინსტიტუტებს, კომერციულ პლატფორმებსა და კრიპტოვალუტის ბირჟებს, რომლებიც სრულად შეესაბამებიან ლუქსიუმის ფასის ლოგიკასა და უსაფრთხოების სტანდარტებს

3 მონეტების გაყიდვებიდან მიღებული კაპიტალის **34%** მიემართება შემოსავლის მომტანი უძრავი ქონების აქტივებში და ბიზნესებში მსოფლიოს ყველაზე მოთხოვნად წერტილებში, რომელსაც მართავს ჩვენი საერთაშორისო გუნდი. ეს უზრუნველყოფს ლუქსიუმის მონეტის დამატებითი სტაბილურობასა და რეალურ ეკონომიკურ მხარდაჭერას

4 როდესაც ლუქსიუმი მიაღწევს **$1** მილიარდიან საბაზრო კაპიტალიზაციას, ამოქმედდება დამატებითი ექსკლუზიური სარგებელი ლუქსიუმის მფლობელებისთვის. მათ შორის იქნება უფასო წვდომა შერჩეულ ლუქსიუმის მიერ მართულ საერთაშორისო ობიექტებზე, პრემიუმ კლასის დასასვენებელ თუ საცხოვრებელ კომპლექსებზე, ასევე სხვა სპეციალურად შემუშავებულ პრივილეგიებზე

5 ლუქსიუმის მთავარი შემოსავლის წყარო იქმნება მონეტების გაყიდვებიდან, მენეჯირებული აქტივების გაქირავებიდან, წარმატებული ბიზნესების შექმნით და მათი მართვის საფუძველზე მიღებული შემოსავლიდან

6 **$1** ტრილიონიანი საბაზრო კაპიტალიზაციის მიღწევის შემდეგ, სს „ლუქსიუმი“ (სააქციო საზოგადოება "ლუქსიუმი") იურიდიულად გადაეცემა ლუქსიუმის მფლობელებს სპეციალური განაწილების მექანიზმით (გაყიდვის უფლების გარეშე), რომელიც მათ აქცევს პროექტის თანა-მესაკუთრეებად. (ამ დღიდან ლუქსიუმი ხდება ოფიციალურად უბრალო ხალხის, მათ შორის რათქმაუნდა უკვე არსებული თანადამფუძნებლების ჩათვლით). გარდა ლუქსიუმის მონეტის წარმატებისა, მფლობელები მიიღებენ ყოველწლიურ დივიდენდებს ლუქსიუმის გლობალური უძრავი ქონების და ბიზნესების შემოსავლებიდან, სამართლებრივად გამჭვირვალე და იურიდიულად დაცული ფორმით. ეს არის უპრეცედენტო არა მხოლოდ კრიპტოინდუსტრიაში, არამედ ფინანსურ ისტორიაში, სადაც პლატფორმის წარმატება რეალურად ბრუნდება ხალხთან, როგორც მათ საკუთრებაში არსებული აქტივი.



ფინანსური რესურსების განაწილება

(დივიდენდების და სხვა ხარჯების გადახდის შემდეგ დარჩენილი წმინდა მოგებიდან)

სტრატეგიული რეინვესტირება

34%

გლობალური უძრავი ქონება და ბიზნესები, შემოსავლის ზრდა

გლობალური ექსპანსია და ბრენდინგი

12%

ცნობადობის გაფართოება, პრემიუმ მარკეტინგი, ინფლუენსერები

ლუქსიუმის სარეზერვო ფონდი

21%

გრძელვადიანი მდგრადობა, კრიზის დაცულობა

გლობალური გუნდის განვითარება

21%

მოფლიოს ყველა წერტილში, ექსპერტების ანაზღაურება, ბონუსები, მოტივაცია

საოპერაციო და ტექნიკური ხარჯები

12%

ინფრასტრუქტურა, ეკოსისტემის ტექნიკური შენარჩუნება და ზრდა, ფილიალების გაფართოება..



ლუქსიუმის უპირატესობა

ლუქსიუმი შექმნილია პირველობისა და ბაზარზე გრძელვადიანი ოპერირებისთვის

მახასიათებლები	ლუქსიუმი	ბიტკოინი	ეთერიუმი	სტაბილური მონეტები
საკუთარი ბლოკჩეინი	✅ **LuxOSI**	✅	✅	❌
რეალური აქტივებით უზრუნველყოფილი	✅ **LuxRWA**	❌	❌	ნაწილობრივ
ანტიმანიპულაციური ფასის მდგენელი სისტემა	✅ **LuxPHI** (no human/manipulation, DEUS protocol)	❌	❌	❌
მობილური ვალიდაცია (მაინინგი)	✅ **LuxVRF** + **LuxPRESENCE**	❌	❌	❌
ნულოვანი უფასო ტრანზაქციები	✅ **Lux0**	❌	❌	❌
დამოუკიდებლად მართული ეკოსისტემა	✅ **LuxCORE**	❌	❌	❌

ლუქსიუმის სტრატეგია (გლობალური ექსპანსია)

2025-2026

ლუქსიუმი თავდაპირველად სტრატეგიულად ფოკუსირდება იმ ბაზრებზე, სადაც მოსახლეობა უკვე ეძებს ალტერნატივას თავიანთი არასტაბილური ვალუტებისთვის და ინტერესი კრიპტოს მიმართ მზარდია:

- **საქართველო** - პროექტის სამშობლო და საწყისი ბაზა. საზოგადოებრივი მხარდაჭერა 200,000+ გამომწერი, ძლიერი სოც. მედია.
- **ვიეტნამი, ტაილანდი, ინდონეზია, მალაიზია** - მოსახლეობით დიდი, ტექნოლოგიურად აქტიური ქვეყნები, სადაც კრიპტოს გამოყენება მაღალი ტემპით იზრდება (მაგ.: ვიეტნამში, ზრდასრული მოსახლეობის 40%-ზე მეტი ფლობს კრიპტოვალუტებს).
- **თურქეთი** - ინფლაციის მიმართ მგრძნობიარე და ფინანსური ალტერნატივების მიმართ გახსნილი ბაზარი.

პირველი ეტაპი ფოკუსირებულია მოსახლეობის მაღალჩართულობაზე, გავლენიან პარტნიორებთან (უძრავი ქონების პრემიუმ სეგმენტის დეველოპერებთან მემორანდუმების გაფორმებაზე) და პროექტის ვირუსულ გავრცელებაზე, ლოკალურ ენაზე ხელმისაწვდომი, უმარტივესი მობილური და ვებ ინტერფეისით.

2026-2027 გლობალური ექსპანსია

არგენტინა, ჩილე, ბოლივია, ბრაზილია, მექსიკა, რასაც მოჰყვება პროექტის ფართო მსოფლიო ვალიდაცია და ევროპის, აშშ-ს ბაზრებზე შესვლა.

2027-2028 ლუქსიუმის გლობალური მომხმარებლების ზრდა

ვირუსული ანტინფლაციური კამპანიები ხელს უწყობს PoRP მობილურ ვალიდატორთა რაოდენობის ზრდას მათ შორის ფინანსური დაინტერესებით და ქმნის გლობალურ იმპულსს ლუქსიუმის ქსელის გაფართოებისთვის.

საგანმანათლებლო კამპანია (ვირუსული ფორმატით):
„შეებრძოლე ინფლაციას/სისტემას შენი ტელეფონით“ - პლატფორმა, რომელიც საშუალებას აძლევს ნებისმიერ ადამიანს, საკუთარი სმარტფონით მიიღოს მონაწილეობა მათივე მომავლის დაცვის ახალ საერთაშორისო სისტემაში.

2027-2028 სტრატეგიული პარტნიორობა

მემორანდუმები პრემიუმ სეგმენტის დეველოპერებთან და ტექნოლოგიურ კომპანიებთან, ლუქსიუმის სწრაფი ინტეგრაციისა და განვითარებისთვის

2027-2028 ტოკენების მიგრაციის ინიციატივა

ლუქსიუმი შესთავაზებს ჩავარდნილი ან არასაკმარისად წარმატებული კრიპტო პროექტების მომხმარებლებსა და მათ შემქმნელებს გამარტივებულ გზას ახალ ეკოსისტემაში ინტეგრაციისთვის.
ეს ინიციატივა ქმნის ორმხრივად სარგებლის მომტან შესაძლებლობას, როგორც მათთვის, ისე ლუქსიუმისთვის, რომელიც იზრდება და იძლევა რეალურ ღირებულებაზე დაფუძნებულ მომავალს

რუკა (ROADMAP)

1

2025 მე-2 კვარტალი

- **ლუქსიუმის ბლოკჩეინის გაშვებამდე RSK-ზე (ბიტკოინის side chain) დაფუძნებული პროტოტიპის გაშვება**
  განხორციელდება შიდა ტესტნეტზე სმარტ კონტრაქტის სახით გაშვება, რომელიც გვიჩვენებს ძირეულ ლოგიკას, ფიბონაჩის ფასის მოდელს და ვალიდატორთა ნაკადის სისტემას.

2

2025 მე-3 კვარტალი

- **PoRP პროტოკოლის პროტოტიპი**
  შემთხვევითობის პრინციპზე დაფუძნებული კონსენსუსის არქიტექტურის ტექნიკური დემონსტრაცია და ოპტიმიზაცია.
- **RSK-ზე გაშვებული სმარტ კონტრაქტის აუდიტი**
  ძირითადი ალგორითმული ლოგიკის კოდის დამოუკიდებელი უსაფრთხოების შემოწმება.
- **ვალიდატორთა მობილური აპის ალფა ვერსია**
  მომხმარებელზე ორიენტირებული ინტერფეისის ტესტირება და ჩართულობის მოდელის ეფექტიანობის შეფასება.
- **მობილური აპის საჯარო ბეტა ვერსია**
  პირველი ფართო ტესტირება რეალურ მომხმარებლებთან, უკუკავშირის შეგროვება და ფუნქციური ოპტიმიზაცია.
- **ლუქსიუმის მონეტის საწყისი "მარკეტპლეისის" გაშვება**
  ბაზრის ინტეგრაციის პირველადი მოდელი, მონეტის ყიდვა/გაყიდვის შესაძლებლობა მხოლოდ ლუქსიუმის ეკოსისტემაში.
- **კომპანიის რეგისტრაცია და შესაბამისობა რეგულაციებთან**
  სამართლებრივი სტრუქტურის ჩამოყალიბება, ლიცენზიებისა და შესაბამისობის პროცესის დაწყება ევროკავშირსა და მიზნობრივ იურისდიქციებში.

3

2025 მე-4 კვარტალი

- **ლუქსიუმის ბლოკჩეინის მთავარ ქსელში გაშვება და ტესტირება**
  ძირეული ინფრასტრუქტურის ამოქმედება, საჯარო ტესტებით, LuxAI-ის, PoRP კონსენსუსის და ლუქსიუმის სხვა პროტოკოლების რეალურ გარემოში გამოცდით.
- **პირველი აქტივების ინტეგრაციის დაწყება**
  მემორანდუმები და თანამშრომლობის შეთანხმებები პრემიუმ დეველოპერებთან აზიაში, საქართველოში, დუბაისა და მექსიკაში უძრავი ქონების არაპირდაპირი ტოკენიზაციის დაწყებისთვის.
- **Pre-ICO ვირუსული კამპანიის დაწყება და ოფიციალური გაშვება საქართველოში**
  პირველი ფაზის საზოგადოებრივი წარდგენა ადგილობრივი მედიით, ინფლაციის წინააღმდეგ მიმართული გზავნილებით და ვალიდატორთა მობილური აპლიკაციის მასობრივი ჩაშვებით, რომელსაც საკუთარი ფინანსური სარგებელი გააჩნია.

4

2026

- **სწრაფი გაფართოება სამხრეთ ამერიკასა და სხვა სტრატეგიულ ბაზრებზე**
  აგრესიული ვირუსული კამპანიები და ლოკალიზებული მარკეტინგი კრიტიკულ რეგიონებში მასობრივი ჩართულობისთვის.
- **გლობალური ICO-ს (გლობალური ლუქსიუმის გაყიდვების) გამოცხადება**
  საერთაშორისო საინვესტიციო ფაზის დაწყება, პლატფორმის გლობალური ფულადი მასშტაბის და ეკოსისტემის მხარდაჭერისთვის.

5

2027

- **გლობალურ პრემიუმ ბრენდებთან პარტნიორობა**
  ლუქსიუმის გადახდის საშუალებად მიღება მსოფლიოში წამყვანი პრემიუმ ბრენდების ქსელში, რაც ქმნის გამოყენების რეალურ პრაქტიკას და ბრენდის პოზიციონირების გაძლიერებას.
- **უძრავი ქონების პორტფელის გაფართოება**
  გლობალურ პრემიუმ ბრენდებთან სტრატეგიული ალიანსების გზით, ლუქსიუმი აფართოებს თავისი უძრავი ქონების პორტფელს და აქცევს მონეტას სტაბილურ, აქტივზე მიბმულ ფინანსურ ინსტრუმენტად.
- **ინტეგრაციის შესაძლებლობა 3,000+ ჩავარდნილი/წარუმატებელი/ კრიპტო პროექტისთვის**
  ლუქსიუმი სთავაზობს მიგრაციის პლატფორმას ერთ ადგილას მდგომი ან წარუმატებელი პროექტებისთვის, რაც ზრდის ეკოსისტემის მასშტაბს და ქმნის მნიშვნელოვნად გაზრდილ მოთხოვნას მის ინფრასტრუქტურაზე.

6

2028 & მის შემდეგ

- **ტოპ 100 კრიტოკომპანიების რეიტინგში შესვლა - 1$ მილიარდიანი საბაზრო კაპიტალიზაციის გადაჭარბებით მიღწევა**
  ლუქსიუმის პოზიციონირება, როგორც გლობალური ეკონომიკური სისტემის სტაბილური და სანდო ელემენტი.
- **ჰოლდერებისთვის გლობალური სარგებლის ამოქმედება**
  დივიდენდების განაწილება, უძრავ ქონებაზე უფასო წვდომა და სხვა ექსკლუზიური პრივილეგიები პლატფორმის მასშტაბით.
- **გლობალური გაფართოება გარდაუვალია**
  დეცენტრალიზებული ფინანსების, რეალურ ღირებულებაზე დაფუძნებული ვალუტით და საზოგადოების მიერ მართული ეკონომიკის ახალი ეპოქის შექმნით.

ლუქსიუმის მიმდინარე პროგრესი

200,000-ზე მეტი აქტიური გამომწერი სოც. მედიებში, მათ შორის საქართველოს მოქალაქეები და გლობალურ დიასპორაში მყოფი თანამემამულეები უკვე ერთვებიან პირველადი ინფორმაციის მიღებასა და დაინტერესებაში

Whitepaper-ი (პროექტის მთავარი ტექნიკური დოკუმენტი) დასრულების ეტაპზეა, დოკუმენტი მოიცავს ლუქსიუმის უნიკალურ კონსენსუსის მექანიზმს, ეკონომიკურ მოდელს, ბლოკჩეინის არქიტექტურას და სხვა ინფორმაციას

მიმდინარეობს ბლოკჩეინის MVP (საჩვენებელ) არქიტექტურაზე მუშაობა: ფუნდამენტური ელემენტები, როგორიცაა ფიბონაჩის ლოგიკაზე დაფუძნებული ფასის მოდელი და სმარტ კონტრაქტების ლოგიკა, ეს ყველაფერი იქმნება RSK-ზე (Bitcoin Side Chain-ზე), როგორც ლუქსიუმის საბოლოო ინფრასტრუქტურის ფუნქციური წინასწარი ვერსია

პარალელურად დაწყებულია ლუქსიუმის სუვერენული ბლოკჩეინის სრულფასოვანი ტექნოლოგიური განვითარებისთვის საჭირო შესამზადებელი სამუშაოები, მასში PoRP კონსენსუსის მოდელის და სხვა მნიშვნელოვანი დეტალების ინტეგრაციის არქიტექტურის შექმნით

ლუქსიუმის ვებ გვერდი შექმნილია სატესტო რეჟიმში, მისი შიდა (მომხმარებლის) "Front-end" პლატფორმის ინჟინერია აქტიური განვითარების ფაზაშია

მობილურ მოწყობილობებზე დაფუძნებული ადრეული ვალიდაციის ლოგიკა გადის ფუნქციურ გამოცდას

მიმდინარეობს მრავალ იურისდიქციული ანალიზი, რათა დადგინდეს ოპტიმალური რეგულატორული ბაზა ლუქსიუმის გლობალური ოპერირებისთვის

პროექტი წინ მიიწევს მინიმალური რესურსებით, მასშტაბური ზრდა იწყება დაფინანსების მიღებისთანავე

ლუქსიუმი

ფულადი სისტემის ევოლუცია

გუნდი

გიორგი გაგნიძე

დამფუძნებელი და პროექტის ხელმძღვანელი

პოლიტიკური ინოვატორი და მეწარმე, რომელიც გამოირჩევა სტრატეგიული ხედვით, სწრაფად ცვალებად გარემოში გადაწყვეტილების მიღების უნარით და გამჭვირვალე ლიდერობით. იგი არის არაერთი გარდამტეხი ინიციატივის ავტორი, მათ შორის „შეცვალე საქართველო“ და „ლუქსიუმი“ - პროექტები, რომლებიც მიზნად ისახავენ რეალურ ცვლილებებს სისტემურ დონეზე. მისი მთავარი მოტივაციაა შექმნას პირველი და ტყვია გაუმტარი სისტემა, რომელიც წყვეტს არსებულ ყოფით პრობლემებს მილიონობით ადამიანისთვის და აყალიბებს ახალ წესრიგს - ხალხის ხელში ძალაუფლება.

• 5,000-კაციანი კომპანიის მართვის გამოცდილება
• დიდი კამპანიების დიზაინი და განხორციელება (მრავალმილიონიან აუდიტორიაზე გასვლა მინიმალური ფინანსური რესურსით)
• სტრატეგიული მოლაპარაკებების უნარი 100%-იანი გამჭვირვალობის სტანდარტით
• მსოფლიოს ყველაზე დიდი სოციალური და ეკონომიკური მოძრაობის ინიციატორი - "შეცვალე მსოფლიო" - ფაზა I: შეცვალე საქართველო /ლუქსიუმი
• ერთ-ერთი პირველი კრიპტოპოლიტიკური ეკონომიკური ინიციატივის ავტორი რეგიონში

ლევან ბოძაშვილი

გლობალური სტრატეგიული მრჩეველი

ლევან ბოძაშვილი არის ბლოკჩეინის სამართლისა და ციფრული ფინანსების ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურა. იგი ცოტა ხნის წინ დასახელდა წლის ტოპ 20 საერთაშორისო ბლოკჩეინ ინფლუენსერს შორის. მას აქვს ათწლეულების გამოცდილება რეგულაციების სტრატეგიასა და საერთაშორისო სამართალში. ლევანი უერთდება ლუქსიუმის გუნდს მნიშვნელოვან ეტაპზე, გლობალური გაფართოების დასაწყისში. მისი ღრმა სამართლებრივი ცოდნა და რეგულაციური ხედვა დაეხმარება პროექტს ჩამოაყალიბოს გამჭვირვალე, სტაბილური და გლობალურად თავსებადი სტრუქტურა. მისი როლი Luxium-ში მოიცავს:
კონსულტაციებს გლობალურ სამართლებრივ და რეგულაციურ საკითხებზე, რათა პლატფორმა იყოს თავსებადი მსოფლიოს წამყვან იურისდიქციებთან
საერთაშორისო კომუნიკაციას პარტნიორებთან, მთავრობებთან და სამართლებრივ ორგანოებთან, სტრატეგიული თანამშრომლობებისთვის
საერთაშორისო დაფინანსების მოზიდვასა და საინვესტიციო კავშირების გაძლიერებას, თავისი მრავალწლიანი გლობალური ქსელის მეშვეობით

დავით კოჩიაშვილი

პროფესიონალი დეველოპერი / ბლოკჩეინ ექსპერტი

ვეტერანი დეველოპერი, 25 წელზე მეტი გამოცდილებით რთული პროგრამული სისტემების დიზაინსა და განვითარებაში. ბოლო წლები სპეციალიზირებულია Solidity-ს პროგრამირებაში და ღრმა ტექნიკური კომპეტენცია ბლოკჩეინ ინოვაციებში. მისი უნარები აერთიანებს როგორც საფუძვლიან არქიტექტურულ ხედვას, ასევე მთავარი კოდის ოპტიმიზაციას რეალურ სამუშაო გარემოში.

ძირითადი უნარები:
• Solidity & Smart Contracts
• Blockchain Infrastructure
• Software Architecture
• Distributed Systems
• C++, Java, Python
• Testing & Audit Readiness
• Agile Development

დავიდ მკრტიჩიანი

პროფესიონალი დეველოპერი / ტექნიკური არქიტექტორი

პროგრამული უზრუნველყოფის არქიტექტორი, 22 წელზე მეტი გამოცდილებით მაღალტექნოლოგიური სისტემების შექმნაში. სპეციალიზებულია მასშტაბირებად ბლოკჩეინ პლატფორმებსა და ფინტექ გადაწყვეტებში. მისი სამუშაო მოიცავს როგორც მთავარი არქიტექტურის დაგეგმვას, ისე მაღალი უსაფრთხოების მქონე სმარტ კონტრაქტებისა და მონაცემთა ინფრასტრუქტურის განვითარებას.

ძირითადი უნარები:
• Blockchain Architecture
• Smart Contract Development (RSK - BTC side chain)
• Fintech Platforms
• Microservices & Scalable Infrastructure
• Node.js, Rust, Python
• AWS, Kubernetes, CI/CD
• Database Optimization (PostgreSQL, MongoDB)

ალექსანდრა გაგნიძე

ბიზნეს ადმინისტრირების მენეჯერი

ფლობს ხუთ ენას, მას გააჩნია მრავალწლიანი გამოცდილება საერთაშორისო მასშტაბის კომპანიების ოპერაციული მართვისა და სტრუქტურული გაუმჯობესების მიმართულებით. ახასიათებს სტრატეგიული ორგანიზებულობა, ინტერკულტურული კომუნიკაციის უნარი და მაღალი სტანდარტებისადმი ერთგულება, რაც მნიშვნელოვანი რესურსია ლუქსიუმის გლობალური ზრდისთვის.

ძირითადი უნარები:
• ოპერაციული მენეჯმენტი
• საერთაშორისო ბიზნესის მართვა
• მრავალენოვანი კომუნიკაცია
• ორგანიზაციული სტრუქტურის ოპტიმიზაცია
• გუნდის მართვა და კოორდინაცია
• პროცესების სტანდარტიზაცია

მეჰმედ თექბაში

ფინანსური მრჩეველი

შვეიცარიული საბანკო სისტემების ექსპერტი, ძლიერი ფინანსური ბაზისითა და გლობალური ბაზრის ხედვით. მისი სტრატეგიული ჩართულობა ხელს უწყობს ლუქსიუმის ფინანსური სტრუქტურის ჩამოყალიბებას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. გამოირჩევა სიღრმისეული ფინანსური ანალიზის უნარით, რისკების მართვის და მრავალსაფეხურიანი კაპიტალის სტრუქტურების დანერგვის გამოცდილებით.

ძირითადი უნარები:
• შვეიცარიული საბანკო სისტემები
• საერთაშორისო საფინანსო სტრატეგია
• კაპიტალის სტრუქტურების დაგეგმვა
• რისკების შეფასება და კონტროლი
• კომპლექსური ფინანსური მოდელირება
• შესაბამისობა და რეგულაციები (Compliance)

დაფინანსების შემდეგ დაგვემატება: ბლოკჩეინ დეველოპერები, იურიდიული მრჩევლები, პიარ და მარკეტინგ ტექნოლოგები, უძრავი ქონების მართვის ექსპერტები, ფინანსისტები, სტრატეგიული პარტნიორები და სხვა - ძლიერი და დინამიური გუნდი, რომელიც აერთიანებს ინდუსტრიის გამოცდილ ექსპერტებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ლუქსიუმის ტექნოლოგიურ სიმყარეს, სამართლებრივ შესაბამისობას და სწრაფ გლობალურ ექსპანსიას.

დეუს პროტოკოლი

ლუქსიუმის დეცენტრალიზებული ემისია გლობალური ფინანსური უზენაესობისთვის

ფიბონაჩის დონე	თითო ლუქსიუმის ღირებულება შვეიცარიულ ფრანკში (CHF)	ლუქსიუმის ჯამური რაოდენობა თითოეულ დონეში	ლუქსიუმის ჯამური ღირებულება (CHF) თითოეულ დონეში
1	1.00	100,000	100,000
2	1.6	200,000	323,600
3	2.6	300,000	785,400
4	4.2	400,000	1,694,400
5	6.8	500,000	3,427,000
6	11	1,000,000	11,090,000
7	18	1,500,000	26,916,000
8	29	2,000,000	58,068,000
9	47	2,500,000	117,445,000
10	76	3,000,000	228,036,000
11	123	3,500,000	430,465,000
12	199	4,000,000	796,008,000
13	322	4,500,000	1,448,964,000
14	521	5,000,000	2,604,970,000
15	843	5,500,000	4,636,423,000
16	1464	6,000,000	8,183,880,000
17	2207	6,500,000	14,345,279,000
18	3571	7,000,000	24,996,622,000
19	5777	7,500,000	43,334,340,000
20	9348	8,000,000	74,790,864,000
21	15,126.00	8,500,000	128,577,545,000
22	24,475.00	9,000,000	220,280,652,000
23	39,602.00	9,500,000	376,222,781,000
24	64,078.00	10,000,000	640,780,260,000
25	103,680.00	10,000,000	1,036,804,240,000
26	167,758.00	10,000,000	1,677,584,500,000
27	271,438.00	9,000,000	2,442,949,866,000
28	439,197.00	8,000,000	3,513,578,592,000
29	710,637.00	7,000,000	4,974,453,386,000
30	1,149,834.00	6,000,000	6,899,001,132,000
31	1,860,470.00	5,000,000	9,302,348,600,000
32	2,100,000.000	4,600,000	9,660,000,000,000

"თუ არა ახლა — როდის? და თუ არა შენ — მაშინ ვინ?“

ჰილელი - ძვ. წ. I ს

ceo@luxium.global

www.luxium.global

+41 799463221

+41 799463221